ნოდარ მამაცაშვილი

კარჩაკეტილობის პრობლემა, ანუ
კაცი ყველა ერთია

მელოდრამა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

ტასი_ გასათხოვარი ქალიშვილი, სიმპატიური, გაუთხოვრობის შიშით შეპყრობილი, 29 წლისა
კალე_ მისი მეზობელი, მარტოხელა, ოდნავ შემელოტებული, მცირე ღიპითა და რეტროგრადული შეხედულებებით, 45 წლისა
კახა_ ტასის საქმრო- კონსერვატორი, ნაციონალისტური გადახრებით, 30 წლისა
სალიტა_ ტასის მეგობარი, ფემინისტი, თავისუფალი სიყვარულის მომხრე, 33 წლისა
არმენა_ ტასის მეზობელი, კოლორიტული ხელოსანი, 50 წლისა,
მაშველები, მეზობლების ხმები

მოქმედების ადგილი_ ბინა მრავალსართულიან კორპუსში
მოქმედება მიმდინარეობს რეალურ დროში.

მოქმედება პირველი

სტანდარტული ბინის ზალა, შეძლებისდაგვარად საზეიმოდ მორთული (რეჟისორის ფანტაზიის მიხედვით). მარჯვნივ სამზარეულოში გასასვლელი კარი, მარცხნივ- შემოსასვლელი, პირდაპირ- საძინებლისა. სცენის მარჯვნივ მომცრო მაგიდა დგას სკამებით. მარცხნივ- სიღრმეში- გარდირობი. პირდაპირ, კედელზე დიდი სარკე. კედლებზე- მშობლების გადიდებული ფოტოები და ხატები.
სცენა უცვლელია.

სურათი პირველი

ტასი. შემდეგ კალე

შილიფად ჩაცმული ტასი სარკის წინ ტრიალებს. ღიღინებს, მაკიაჟს ამოწმებს, ტანისამოსს ირგებს. პოზიორობს.
ტასი _ ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს მართალია. თვითონაც არ მჯერა. ცოტაც და არავინ გამიხვრეტს ტვინს სულელური კითხვებით: (გამოაჯავრებს) რატომ არ თხოვდები? რას ელოდები? ალბათ იწუნებ ყველას?

(ტონს იცვლის) ისე, რას ვერჩოდი ამ სურიკას, მშვენიერი სტილისტი ყოფილა! რაში მაინტერესებს მაგისი სექსუალური ორიენტაცია. (ისევ იცვლის ტონს) იცოცხლე, ბევრს დაუგრძელდება სახე, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში- ვერ მიხილავენ შინაბერად დარჩენილს.
ვაიმე, ეს სარაფანი ცოტა მსუქანს ხომ არ მაჩენს? პრინციპში პროფილში არაფერი მეტყობა. ისე, მთლად გამოწლიკულსაც არ მინდა დავემგვანო. ჩვენს კაცებს უყვართ ხორციანი ქალები, მაგრამ ერთს ხომ ვერ წამოაცდენ. არა, კახა მთლად ეგეთი აზიატიც არ არის.თუმცა ეჭვიანობაც არ უნდა აკლდეს. მაგისი გულისთვის გადავაგდე სიგარეტი. ძალიანაც კარგი, კაცი რომ არ ეჭვიანობს, ის რა კაცია. მალე ჩემი კახუნას საყვარელი კერძების დამხეცებას მოვრჩები, ანუ- მაგის კუჭზე გამავალ გზასაც გავაკონტროლებ. ლოგინში ალერსში დავახრჩობ, ოღონდ ზომიერად. მაგა თთამამი საყვარლები მოსწონთ და არა ცოლები. ერთი სიტყვით, იდეალური ცოლი ვიქნები. ამ ორ დღესაც გადავაგორებ როგორმე და მერე-... ტრა-ლალა-ლაა- მშვიდობით, ნალოლიავებო უმანკოებავ, ბოლოსდაბოლოს ჩაგაბარებ პატრონს! როგორია, სულ იმის შიშში იყო, ემანდ ეკალზე არ წამოეგო სადმე. ვაიმეე! (წარმოდგენაზე გააკანკალებს).
ზარის ხმა კარზე.
ტასი _ (კართან მიდის და სამზერში იჭვრიტება) რამ მოახეტა ამ დილაადრიან? ეს მინდოდა ახლა მე!
ბრეტელებიან სარაფანზე თხელ მოსასხამს მოიცვამს და კარს აღებს. შემოდის კალე.
ტასი _ მობრძანდი, მობრძანდი , კალე!
კალე _ გამარჯობა, ჩემო ტასო! ცუდ დროს ხომ არ მოვედი? (ტასის გაოცებული მისჩერებია)
ტასი _ როგორ გითხრა, არც ისე.
კალე _ სულ ერთი წუთით შეგაწუხებ. აბა, როგორა ხარ, მომიყევი.
ტასი _ მოსაყოლად ცოტა დრო მაქვს, მოკლედ თუ გინდა- გადასარევად, სტუმრებს ველოდები.
კალე _ მეც არა ვთქვი, ასე საოცრად რატომ გამოწყობილა, მოდელად ხომ არ აპირებს მუშაობის დაწყებას-მეთქი. რა ხდება, არ იტყვი?
ტასი _ დღეს, ასე ვთქვათ, ოფიციალური `ტუსოვკა~ გვაქვს, საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ ყველაფერი. სამ დღეში თუ არ მოვასწარით, მერე მარხვა იწყება. მამა ზოსიმე გამიგიჟდება. მოკლედ, კახას ველოდები- ჩემს საქმროს. დაქალებს უნდა წარვუდგინო.
კალე_ ესე იგი, პრეზენტაცია, თუ რა ჰქვია მაგას, გქონიათ. ძალიან კარგი. კახა- ის სიმპატიური ბოტანიკოსია?
ტასი _ ბოტანიკოსი საიდან მოიტანე, ისტორიკოსია, მეცნიერი.
კალე _ რა ვიცი, სულ ყვავილებით ხელში კი ვხედავ ხოლმე კიბეებზე და.
ტასი _ შენ რა გითხარი, კალე (იცინის), შეყვარებულ კაცს აბა რა უნდა ეჭიროს ხელში, შენი აზრით?
კალე _ მე რა ვიცი, თავის დროზე ეგენი რომ მცოდნოდა, დღეს წნევის გასაზომად მეზობლებში კი არ მომიწევდა სირბილი. ბებიაჩემს და ჰყავდა ეფროსინე, ერთი შავად

ჩამომჭკნარი ქალი. იმან იცოდა, ნუ გეშინია კალე ბიჭო, გამოცხვება ობლის კვერიო. მას მერე ველოდები. ვერ გამოცხვა ჩემი ბედის კვერი. ვითომ მაწყენდა ერთი წყნარი დედაბერი?
ტასი _ ნუ გეშინია, ცხოვრება ჯერ კიდევ წინ გაქვს!
კალე _ მეტი არაა ჩემი მტერი.
ტასი _ რა გული გაგიტეხია, შე კაცო. შემომხედე ერთი, შემომხედე!
კალე უხერხულად ჩაახველებს. თვალს არიდებს.
ტასი _ მითხარი, როგორ გამოვიყურები, ოღონდ ალალად, არ მომატყუო იცოდე! (კეკლუცობს).
კალე _ ძალიან მაგრად, მარა...
ტასი _ რა მარა, ამოღერღე ერთი!
კალე _ სიმართლე თუ გინდა, დედაშენი რომ იყო, ტყუილია იმნაირი ქალი. ის რომ ჩამოივლიდა ზევიდან- თარაშვილის ქუჩაზე, გურგენას მაღაზიის წინ, ეს ახლადშეღერილი ბიჭები ბირჟაზე სულ `ჩესტზე~ ვუდგებოდით. ყველამ იცოდა, ვისი ცოლიც იყო. მამაშენს უბანში ვინ არ იცნობდა. მაშინ მე ყმაწვილი ბიჭი ვიყავი მარა იმისთანა ქალი, რა ვიცი, დღესაც თუა სადმე, არ მგონია.
ტასი _ არიან, არიან, მაგრამ დანახვა უნდა. ყველა კაცს არა აქვს დანახვის შნო. იცი რა გამახსენდა, ცამეტი წლისა რომ ვიყავი, პირველად შევიჭერი `კარე~ ბებიას ნაჩუქარი ფულით. სალონიდან გამოსულს მეგონა, მთელი ქუჩა მე უნდა მომჩერებოდა. შენც არ მომიკვდე, კაციშვილს არ შემოუხედავს. ვერც ეზოს ბიჭებიდან შეამჩნია ვინმემ. ტირილი მომინდა. სასწრაფოდ ამოვირბინე კიბეები და ბაქანზე რომ ამოვედი, შენ შემეჩეხე. ხელში რაღაც დახვეული ფორმატი გეჭირა. მგონი ინსტიტუტს ამთავრებდი მაშინ. შემომხედე და უცებ, -ეს რა ლამაზი ვარცხნილობა გაგიკეთებიაო- მითხარი. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა.
კალე _არ მახსოვს, მართლა?
ტასი _ შენ _ აღარ გახსოვს, მე კი, ხედავ, აქამდე არ დამვიწყებია. კახას უყვარს თქმა- მეხსიერება დიდი საგანძურიაო.
კალე _ უკვე მისი ციტატებითაც ხელმძღვანელობ!
ტასი _ ეგ კი არა, მაგისი ხათრით მთელი `ქართველი ერის ისტორიის~ პირველი ტომი გადავაბულბულე. ეხლა- ვახუშტის გეოგრაფიაზე ვჩალიჩობ.
კალე _ ძალიან კარგი! მერე სადაა დანიშნული?
ტასი _ ვინ, კახა?
კალე _ საზეიმო სუფრა, რომელ რესტორანში? ახლა ხომ ოჯახში გადახდა არავის უნდა.
ტასი _ რა რესტორანში, სად მაქვს მაგისი საშუალება! პატარა ალაფურშეტი გვექნება. მარტო რამდენიმე დაქალი მყავს დაპატიჟებული. მამიდაჩემმა- ნუნუკამ გამომიგზავნა ბრუკლინიდან 2000 დოლარი.
კალე _ ღმერთმა უშველოს! ეგ რომ არ გყავდეს, რა გეშველებოდა?! თვითონ არ ჩამოვა?
ტასი _ ვერ ახერხებს, ხომ იცი, ამერიკიდან ჩამოსვლა რა ჯდება. მთხოვა, ყველაფერი ვიდეოზე გადაიღეთ და გამომიგზავნეო.

კალე _ ციალა და კოლიაც რომ მოსწრებოდნენ ამ დღეს... საწყალი მამაშენი რო იყოს ცოცხალი, ხუთიოდე გოგოზე გადაატარებდა ამ ამბავს? ქეიფის წინ სპეციალურად ემზადებაო, ამბობდნენ. კარაქს ჭამდა თურმე წინასწარ. რა დამავიწყებს, ყმაწვილ კაცს რომ მასწავლიდა, ჭიქა ბოლომდე არ უნდა დასცალო. თავს რომ გადასწევ, ე, მაშინ გირტყამს ტვინშიო. მერე რა თამადობა იცოდა დალოცვილმა! რომ იტყვიან, ბულბულს სვამდა ჭიქაზე.
ტასი _ ეგ მოგონებები სხვა დროისთვის ხომ არ გადაგვეტანა?
კალე _ წავედი ახლა მე, აღარ მოგაცდენ. რისთვის მოვედი, კი დამავიწყდა.
ტასი _ (სულმოუთქმელად) არაუშავს, მერე გაგახსენდება. აბა კარგად!
კალე _ (კარისკენ მიემართება. უცებ შემობრუნდება) ა, გამახსენდა, ერთი შენი კარის საკეტს მინდა შევხედო, რაღაც საეჭვოდ იჭედება ჩემი. ამ დილას პურზე რომ ჩავედი, შემოვბრუნდი და ძლივს გავაღე. შენიც ხომ ისეთივეა.
ტასი _ კი ბატონო, შეხედე, ოღონდ მალე, სალიტას ველოდები.
კალე _ ვისა?
ტასი _ ჩემს მომავალ მეჯვარეს. სუფრა უნდა გავაწყოთ.
კალე _ ამ წუთში, ამ წუთში ვნახავ ყველაფერს.
კართან მიდის, ჯიბიდან სახრახნისს იღებს, ჯახირობს. ტასი ღიღინით აგრძელებს სარკის წინ ტრიალს. კალე შიგადაშიგ თვალს მისკენ აპარებს.
კალე _ ეჰ, ამ დროს რა ვუთხარი, თუარა, რა საჭიროა საკეტი. ჩემს ბავშვობაში ვინ კეტავდა კარს. თუ ჩაკეტავდა და ფეხების გასაწმენდი ტილოს ქვეშ ჰქონდა გასაღები შენახული. ეს ყველამ იცოდა. მოლასი არ იყოს, თავის მეზობელს რომ ეუბნება...
ტასი _ (აწყვეტინებს) რას შვრები, გაარკვიე რამე?
კალე _ ეხლავე, ეხლავე ჩემო კარგო! მინდა შიგნიდან შევხედო. შენ არ ინერვიულო! ყველაფერი კარგად იქნება.
ტასი ღიღინებს:
`შორი გზიდან სატრფოს ველი,
სხვა მოდის და ის კი არა~...
კალე _ მოვა, მოვა, აბა რას იზამს!
ტასი _ ეგეც შენმა ეფროსინემ გითხრა? (კალესთან მიდის) რა ქენი, არ ამთავრებ?
კალე _ ეშმაკი ვერ გაარკვევს ამის ამბავს. თურქული `ხლამია~. რად უნდა საკეტს ამდენი `ფინტიკრუშკები~? აფსუს რუსული საკეტები- იაფი და იორღა! მოდი ერთი შენ გააღე, ჩემი გოგო!
ტასი მიდის. სახელურს ეჯაჯგურება.
ტასი _ რა უქენი, ვერ ვაღებ!
კალე _ მე რა უნდა მექნა, შევხედე მარტო.
ტასი _ შენს შეხედვამდე არაფერი სჭირდა მაგას. ახლა რა უნდა ვქნათ. რომ ვერ გავაღოთ, რა მეშველება, ვაიმე გავგიჟდები!
კალე _ რას ჰქვია, ვერ გავაღოთ. მაგას კი არა, იმის კარს აღებენ, რა ჰქვია, ბანკის. ნუ ნერვიულობ, მოვიფიქრებ რამეს.
ტასი _ რა რამეს?!
კალე _ ბოლობოლო არმენას დავურეკავ- ისაა მაგის ოსტატი.

ტასი _ რას ამბობ, ერთად თუ გვნახა ჩაკეტილი, თანაც ამ ფორმაში, (მკერდზე დაიხედავს) რა ამოვა მაგისი ოფიკას ყბიდან. ქვეყანას მოსდებს.
კალე _ რაღაც არ ჩანს ეგეთი ქალი.
ტასი _ შენ მასწავლი, კაი ლოკატორივით აქვს ყურები. ისე ვერ გამივლია კორპუსის წინ, აგენტივით თვალი რომ არ გამომაყოლოს თავისი ფანჯრიდან.
კალე _ შენა და, სამაშველო სამსახური რომ გამოგვეძახა?
ტასი _ არ არსებობს. სკანდალი მინდა ახლა მე, თანაც როგორ დროს!
კალე _ დავიჯერო, მაშველების ცოლებიც ჩვენი ოფიკასავით მეჭორეები იქნებიან!
ზარი კარზე. ტასი სამზერში იჭვრიტება. კალეს ტუჩებზე თითით ანიშნებს- გაჩუმდიო. ზარი ისევ რეკს. რასაც ბრახუნი ცვლის.მერე მობილურის ზარიც ისმის. ტასი არ პასუხობს. პაუზა.
ტასი _ (ისევ სამზერში იჭვრიტება) წავიდა, მადლობა ღმერთს!
კალე _ ვინ იყო?
ტასი _ სალიტა- ჩემი დაქალი.
კალე _ მერე რატომ არ გაეცი ხმა?
ტასი _ როგორია გაეგო, შენთან ერთად რომ ვარ ჩაკეტილი. ვინ იცის, რა კუდს გამოაბამდა.
კალე _ ვითომ იკადრებდა მაგას? ან ვინ დაიჯერებს მაგისთანებს ჩემზე. 30 წელია ამ კორპუსში ვცხოვრობ, ყველა მიცნობს. 19 წელი ვიმუშავე ტრანსპორტის სამმართველოში, ერთი საყვედური არ მქონია. ის აწყობილი ქვეყანა რომ არ დაენგრიათ, ერთ მაგდენს კიდევ ვიმუშავებდი.
ტასი _ შენ რა გენაღვლება, ცოლი არ გაწუხებს და შვილი. ერთი მე მკითხე, ჩასაფრებული რომ მყავს ყველა. ერთი სული აქვთ, როდის მაქცევენ ჭორაობის ობიექტად. ამ ხალხს ხომ სხვა საქმე არა აქვს.
კალე _ კაი ახლა, ტასო, ვინ რა უნდა იფიქროს შენისთანა კაი დედის შვილზე!
ტასი _ ნამდვილად გავგიჟდები! მაინც ეს რა ბედი მაქვს! შენც რა საკეტი აგიტყდა ამ დილაადრიან?
კალე _ მცოდნოდა, ასე მოხდებოდა, ვინ ოხერი... ნეტაი ფეხი მომტეხოდა და შენი ბედის ამბავში არ გავრეულიყავი. `კუკურიჩა~ მაინც ყოფილიყო, იმას ვთხოვდი. მაგისთვის არანაირი კლიტის პრობლემა არ არსებობდა.
ტასი _ `კუკურიჩა~ ვინ არის?
კალე _ ბინის ქურდი იყო ასეთი. ერთხელ ერთი ბობოლას სახლში შევიდა თურმე. მეხუთე სართულზე საწვიმარი მილით ამძვრალა. სულ გამოუსუფთავებია სამალავი. ხოდა უკან რომ აპირებდა |ჩამობობღებას, რა მოხდა, თუ იცი?
ტასი _ არ მაინტერესებს. კრიმინალი მინდა ეხლა მე?
კალე _ რომც გინდოდეს, სადაა, მოკლეს საწყალი. ქვეყანა რომ აირია, ბიზნესში გადაბარგდა ეგეც სხვებივით. რუსეთში წავიდა. ხოდა იქ რა მოხდა, ვერ გეტყვი, მარა...
ტასი _ მომისმინე, აქ რომ შემოხვედი, თუ დაგინახა ვინმემ?

კალე _ არა მგონია. ნაფეტვარიძეების რძალი როა- ამალია, იმისმა კოკამ ჩაირბინა კიბეზე, მარა ზევით არ ამოუხედავს. ეგ წესიერი ბავშვია- ვიოლინოზე დადის!ბრახუნი კარზე

სურათი მეორე

ტასი და კალე.
ხმა გარედან _ არის მანდ ვინმე?
ტასი _ (სამზერში იჭვრიტება, ჩურჩულით) ვაიმე, დავიღუპე! ვიღაც ფორმიანები არიან. ვინ გააგებინებდა?
კალე _ (ჩურჩულით) ალბათ იმან- სალუტამ თუ დარეკა 112-ში.
ტასი _ ვინ სთხოვა მერე. არ გავუღოთ!
კალე _ რას ამბობ, მაშინ შემოამტვრევენ.
ტასი _ როგორ თუ შემოამტვრევენ?
კალე _ კანონით აქვთ ამისი უფლება.
უფრო ძლიერად აბრახუნებენ.
ხმა გარედან _ სამაშველო სამსახურიდან ვართ, გესმით ჩვენი?
ტასი _ დიახ, კარს ვერ ვაღებთ, პატივცემულო!
ხმა გარედან _ თქვენ სახლის პატრონი ბრძანდებით?
ტასი_ დიახ.
ხმა გარედან _ მარტო ხართ, მამაკაცი არავინაა მანდ?
კალე_ რაშია ს...
ტასი მივარდება და აჩუმებს
ტასი _ ააარა, პატივცემულო.
ხმა გარედან _ სადაური საკეტია დაყენებული, ხომ ვერ გვეტყვით? მოდელი გვაინტერესებს.
ტასი _ ბატონო! რა მოდელი, არ მესმის!
ხმა გარედან _ პასპორტში იქნება, ნახეთ!
ტასი _ რა მოდელი, რა პასპორტი, თქვენ კარგადა ხართ?
კალე _ პას...
ტასი მივარდება და პირზე ხელს აფარებს. ცოტა ხანს ასე არიან ერთმანეთს მიკრულნი. კალეს ოფლი ასხამს.
ხმა გარედან _ მაშინ იძულებული ვიქნებით, შემოვამტვრიოთ. მერე პრეტენზიები არ იყოს.
გარედან ისმის მეზობლების ჩოჩქოლი, რომელიც თანდათან ძლიერდება.
მეზობლების ხმები _ რა ხდება, რა გინდათ ამ კართან, ვინ ხართ?
ხმა გარედან _ სამაშველო სამსახურიდან ვართ, ქალბატონო, გამოძახება გვაქვს.
მეზობლების ხმები _ ტასი, შვილო, სახლში ხარ? ხომ მშვიდობაა? ამალია ვარ, ნაფეტვარიძეების. ვინმე ხომ არ შემოგივარდა?
სალიტა _ მიმიშვით ქალბატონო, ერთი წუთით! (ხმამაღლა) ტასი, მე ვარ- სალიტა ხომ ცოცხალი ხარ, ამოიღე ხმა!

ტასი _ ხო სალი, აქა ვარ. უბრალოდ კარი ვერ გავაღე, ვწვალობდი.
სალიტა _ მობილურს რატომ არ პასუხობდი, გამისკდა გული.
ტასი _ წარმოგიდგენია, მაინცდამაინც ახლა დამიჯდა ჩემ ბედზე!
ტასი და კალე სასწრაფოდ შორდებიან კარს და სცენის შუაში ინაცვლებენ.
ტასი _ ჩქარა დაიმალე, სადაცაა შემოვლენ!
კალე _ დასამალი რა მჭირს!
ტასი _ როგორ ვერ ხვდები, გამაგიჟებს ეს კაცი. გინდა, რომ ქვეყნის სალაპარაკო გამხადო? აქ თუ გნახეს, მერე მეყოლე ვარდივით.!
კალე გარდირობს მივარდება, გამოაღებს და თავს შიგ ყოფს, მერე ფეხსაც, მაგრამ ვერ ეტევა. ტასი ხელით ტენის, თუმცა ამაოდ. კალე ახლა საწოლის კარს მივარდება, აღებს და ცოცვით უჩინარდება. ახლა ტასი მივარდება გარდირობს, თავს შიგ შეყოფს, რაღაცას ეძებს. მერე ხალათს გამოიღებს და ფაციფუცით გადაიცვამს. ბრახუნი გრძელდება. კალე ბრუნდება.
კალე _ ხომ ხედავ, გარდირობი პატარაა, თან სავსე, საწოლის ქვეშ არ შემიძლია, სული მეხუთება, ტუალეტში ხომ არ ჩავიკეტები ასტმიანი კაცი?
ტასი _ გავაფრენ ეხლა, რამე მოიფიქრე, კაცი არა ხარ, საყვარელთან არასდროს შემოუსწრიათ?
კალე _ როგორ გეკადრება. მაგისი კაცი...
ტასი _ (ისტერიულად) ვანაში შედი ეხლავე, ჩაკეტე და ფეხი არ მოიცვალო, სანამ არ მოგაკითხავ!
კალე გაბუნძულდება.მ|თელი ეს მონაკვეთი კარზე რიტმული ბრახუნის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც თანდათან ჩქარდება. შესაბამისად ჩქარდება პერსონაჟების საუბრის რიტმიც.

სურათი მესამე

ტასი, სალიტა და მაშველები. შემდეგ კახა და არმენა.
კარი იღება. შემოდის სალიტა ხელში ტორტით, უკან მაშველები მოჰყვებიან. მაშველები კარს ათვალიერებენ შიგნიდან.
სალიტა _ (ტასის მივარდება) რა გჭირს, გოგო, გადამრიე მე შენ. კარის ჩაკეტვის დრო არ უნდა იცოდე ამხელა ქალმა?
ტასი _ ხომ იცი ჩემი ბედის ამბავი- ფოთლების კოლექციონერობა რომ დავიწყო, ხეები ხვლიკებს გამოისხამენ.
სალიტა _ შენ რა გითხარი, გავგიჟდი, გაზმა ხომ არ გაგუდა-თქო ამ სიკეთის ჟამს. მაინც რა დაბდურა ხარ! როგორ მოახერხე, მოყევი ერთი!
ტასი _ რა ვიცი, ამ ბოლო დროს რაღაც იჭედებოდა და ყურადღება არ მიმიქცევია. ამ დილას პურზე რომ ჩავედი, უკან მობრუნებულმა ძლივს გავაღე. რო მოვხურე, ეტყობა, საბოლოოდ გაიჭედა.
სალიტა _ შენ გაჭედვა მერე ნახე, რო გათხოვდები! (იცინის, შემდეგ ტორტს მაგიდაზე დებს).
პირველი მაშველი _ (ტასის) თქვენ იძლეოდით პასუხებს შიგნიდან?

ტასი _ დიახ, ბატონო.
პირველი მაშველი _ სამწუხაროდ, საკეტი დაზიანებულია. არ უნდა გაგეხსნათ!
მეორე მაშველი _ ჩვენს მოსვლამდე ხელი არ უნდა გეხლოთ. ახლა გამოცვლა მოგიწევთ.
პირველი მაშველი მაგიდასთან მიდის და რაღაცას ავსებს. მეორე ფურცლებს უმარჯვებს.
პირველი მაშველი _ (ტასის) ერთი წუთით მობრძანდით. გაეცანით და აქ მომიწერეთ ხელი, თუ რაიმე პრეტენზია არა გაქვთ!
ტასი _ როგორ გეკადრებათ, პირიქით! (ხელს აწერს.)
პირველი მაშველი _ აბა, კარგად ბრძანდებოდეთ!
მეორე მაშველი _ ღმერთმა ნუ დაგაჭირვოთ ჩვენი თავი!
ტასი_ უღრმესი მადლობა
მაშველები გადიან.
სალიტა _ (სიგარეტს უკიდებს) მაჩვენე ერთი, რა სარაფანი შეიკერე, ეს რა აგიჯაჯია, ქალო!
ტასი ხალათს იხსნის.
სალიტა _ რა სექსუალურად გამოიყურები! პირდაპირ- ქალი- დაცემა!
ტასი _ მართლა?
სალიტა _ გადარევ აბა რა იქნება იმ ეტრატების ჭიას. ყოჩაღ სურენას, მშვენიერი მაკიაჟია.ეს ჭრილი (სარაფანზე უთითებს) უფრო ღრმა აჯობებდა.
ტასი _ კახას არ მოსწონს ღრმა დეკოლტეები და რა ვქნა.
სალიტა _ ოხ, მაგან კიდევ ვერ მოიშალა ეს ფეოდალური შეხედულებები. როდის უნდა მოვიდეს?
ტასი _ წუთიწუთზე ველოდები.
სალიტა _ ვიდეოგადაღების საქმე როგორ იქნება?
ტასი _ ხათუნას მოაქვს თავისი ნავაროჩენი კამერა.
სალიტა _ ძალიან კარგი!
შემოდის კახა, ხელში დიდი თაიგულით. სალიტა მივარდება და კოცნის.
სალიტა _ სასიძო უკვე ადგილზეა, ელეგანტური, როგორც ყოველთვის.
კახა _ სალიტა ყოველთვის იქ არის და ყოველთვის იმ დროს, როცა საჭიროა.
ტასი ხალათს ბოლომდე იკრავს და კახას უახლოვდება. მოულოდნელად შემოდის არმენა.
არმენა _ ახალგაზრდებს სიცოცხლე! ვაიმე, ვაიმე! ეს რა მოგსვლია, ტასოჯან, კარი ღია რატოა?
ტასი _ ისეთი არაფერი, ძია არმენ. საკეტი დაზიანდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უკვე ყველაფერმა ჩაიარა.
არმენა _ სლავა ბოგუ! რავი, ოფიკა მეუბნება, რაღაც უბედურებაა, მეშვიდეზე მაშველები გამოუძახნიათ, მიდი, გაიგეო. მეზობლები მა რისთვინა ვართ. მაშ, ვსიო პარიატკე?
ტასი _ კი, დიდი მადლობა!
არმენა _ ერთი ვნახამ, თუ რაში იყო საქმე. (კართან მიდის).

კახა _ (არმენას ეჭვით მისჩერებია) რა ხდება, ბატონებო, ხომ მშვიდობაა?
ტასი _ როგორ გითხრა, მთლად მშვიდობაც არა. ამ დილით პურზე ჩავედი. უკან რომ მოვბრუნდი, კარი მოვიჯახუნე და ვეღარ გავაღე, ჩაიკეტა.
არმენა _ ეგრეც ვიცოდი. აბა დახე, რა უქნიათ! ნაღდი არიფის ნაჩალიჩევია.
ტასი _ არ ვიცოდი, რა მექნა. ძალიან შემეშინდა. წარმოიდგინე, სრულიად მარტო ჩაკეტილ სახლში. კლაუსტროფობია თუ მჭირდა, ნამდვილად არ ვიცოდი.
არმენა _ ხო ვამბობდი, ატვიორკით არი ნაწვალები. იავნათ, ვიღაცას გასხნა უნდოდა. მაგრამ შიგნიდან? მეც კარგათა ვარ!
ტასი _ ამასობაში სალიტაც მოვიდა. რომ ნახა, კარს არ ვუღებდი სამაშველო სამსახურში დარეკა. იმათ გააღეს.
არმენა _ სლავა ბოგუ. აბა ტასოჯან, წაველი. თუ რამეა, აქა ვარ. ხო იცი ჩემი ოფიკა როგორ პატივსა გცემს.
არმენა გადის.
ტასი _ მოკლედ, ძალიან ვინერვიულეთ.
კახა _ მერე სახრახნისით რას წვალობდი.
ტასი _ რითი?
კახა _ `ატვიორკით~ გიწვალებია- ასე არ თქვა?
ტასი _ ა-ა-ა, `ატვიორკა~ ის არ არის... ტარიანი ლურსმანი, ოღონდ ბრტყელი წვეტი რო აქვს. ისე ვარ დაბნეული, ჯერაც არ მოვსულვარ გონზე.

კახა _ მერე, უმალ ვერ გადმომირეკე?
ტასი _ რა ვიცი, ვერ მოვისაზრე.

მოქმედება მეორე
სურათი მესამე

ტასი, კახა და სალიტა

სალიტა _ აბა, პრობლემა ამოწურულია, გადავდივართ ცერემონიულ ნაწილზე, პა-პაპარამპა-პარარა-რა! (საქორწინო მარშის მელოდიას ღიღინებს).
კახა _ მოდით, ეს გამომართვით ვინმემ!
ტასი კახას ყვავილებს ჩამოართმევს.
ტასი _ რა საყვარლებია, ვერც კი შევამჩნიე! დიდი მადლობა! ეტყობა, ესენიც გრძნობენ ყველაფერს, ნახე, როგორ მოიწყინეს!(ყვავილებს ვაზაში აწყობს და მაგიდაზე დგამს).
კახა _ არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება! ჩვენ მოვილხენთ და ეგენიც გამოცოცხლდებიან.
სალიტა _ (ტორტს სახურავს ხდის) შენ ესა ნახე, ისეთია, დაეცემი. `მადაში~ შევუკვეთე. სპეციალურად შეყვარებულებისთვისაა მომზადებული. ნახე, რა აწერია `ი ლოვე ყოუ~!
ტასი _ რა მაგარია!

კახა _ შესანიშნავია! მაგრამ ლათინური შრიფტით რომ დაუწერიათ, რა გვჭირს სამაგისო სამი ორიგინალური ანბანის პატრონებს.
სალიტა _ შენ არ ინერვიულო, ეგ გემოზე არ აისახება.
კახა _ საქმე ისაა, რომ გლობალიზაციის საცეცები ყველგან სწვდება- კულინარიაშიც კი.
ტასი _ მე მგონი, ცოტას აჭარბებ.
კახა _ შენ ასე გგონია? ადამიანის ნაციონალური იდენტობის მოსპობა ყოფითი დონიდან იწყება. ჯერ ჩვენს ყოფითი კულტურის, ვთქვათ, ქართული სუფრის, სადღეგრძელოს ფენომენზე ქილიკით იწყებენ, მერე- ქალწულობის ინსტიტუტზე გადადიან. აქედან ერთი ნაბიჯია ოჯახის ტრადიციების შერყევასა და ერთსქესიანთა შეუღლების დაკანონებამდე.
ტასი _ მე მაინც ვერ ვხვდები, რაში სჭირდებათ იმ ბოროტ ბიძებს ამეების ჩვენთვის თავსმოხვევა?
კახა _ მიზანი მარტივია, პატარა ქვეყნებისათვის დემოგრაფიული პრობლემის შექმნა. ეს დიდიხანია გამოააშკარავა ჩვენმა `ქართული ადათების დაცვისა და განვითარების საზოგადოებამ~. ასე, რომ, იმედია, ჩვენი მტრები მიზანს ვერ მიაღწევენ! ჩვენი ტრადიციული მენტალობა ამას არ დაუშვებს.
სალიტა _ (ირონიულად) ბოდიში, მაგრამ , ვინ არიან ის საძაგელი ჩვენი მტრები, ამას რომ გვიპირებენ?
კახა _ ისინი, ვინც მსოფლიოს მართავენ და სურთ, მცირერიცხოვანი ქვეყნების მოსახლეობა მომსახურების ბაზად, ბოდიში და, ეგზოტიკურ საროსკიპოებად აქციონ.
სალიტა _ ჰოო! მაშინ მეტი მიზეზი გვქონია, ჩვენ მაინც ვიზრუნოთ დემოგრაფიის აყვავებაზე. აგერ, ბატონო, პატრიოტულად აღგზნებული ორი ახალგაზრდა. მოდექით და იგულავეთ! (ბჟირდება). ტასი, რომელზე ველოდებით გოგოებს?
ტასი _ექვსისთვის. ათასი საქმეა, მოვასწრებთ? ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს.
სალიტა _ კაი, რა, შენც რას აიჭერი, დაიკიდე! ვის არ ჩაკეტვია კარი, მთავარია, ბედის კარი არ ჩაგეკეტოს. ასე არაა, კახა?
კახა _ ნებისმიერ საქმეში მთავარია, გასაღები გქონდეს ხელთ.
სალიტა _ აბა, მოწყენილი სიფათები არ ვნახო მე დღეს!
კახა _ (ხელებზე იყურება) აზრზე ხარ, როგორ გადადის თურმე ამ ყვავილების ფერი. სააბაზანო საით გაქვს?
ტასი _ (დაბნეული) იცი, ხელსაბანის ონკანი დაზიანებული მაქვს, სამწუხაროდ შეკეთება ვერ მოვასწარი, ხელოსანმა გადამაგდო, არ მოვიდა. მაგრამ რა პრობლემაა, სამზარეულოში გადაგაბანინებ.
კახა _ მერე მე ვერ მითხარი, რად გინდოდა ხელოსანი?
ტასი _ რა ვიცი, მომერიდა.
კახა _ წამო მაჩვენე, რა სჭირს.
ტასი _ არ არსებობს. ახლა ამისი დრო არ არის. არ მინდა ზეიმი ჩავიშხამოთ.
სალიტა _ მართალს ამბობს ეს ადამიანი, რა დროს სანტექნიკაა. მობრძანდით, მეფევ-ბატონო! თქვენც გვერდზე მიუსკუპდით, დედოფალო!

სალიტა წელში იხრება, რევერანსს აკეთებს. ტასი ხალათს იხდის, მოწესრიგდება და ის და კახა სუფრაზე სხდებიან.
სალიტა _ ეს ყვავილნი წინ დაიდგით. დღეს მე ვიქნები თქვენი ფარეშთუხუცესი, ოღონდ, ფარეშთ გარეშე. მეფე-დედოფალი ტყუილად ხომ არ შეარქვა ხალხმა სიძე-პატარძალს.
კახა _ სხვათა შორის, ეს ფაქტი მხოლოდ ქართულ რეალობაში ფიქსირდება. რამეთუ ჩვენი ლექსიკა უნიკალურია ამ მხრივ.
სალიტა _ ხოდა, ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა გამოსცადო. თუ მოახერხე- ხო კაი, თუ არადა- ოკეი!
კახა _ (ღიმილით) შენ მაინც რამდენჯერ მოახერხე, თუ საიდუმლო არ არის?
სალიტა _ მე სხვა ტიპი ვარ, ჩემო კახა. თანასწორ უფლებებს ვანიჭებ უპირატესობას. მამაკაცის ბატონობას ვერ შევეგუები. ოჯახი კი სწორედ ასეთი ურთიერთობის ინსტრუმენტია. მე თავისუფალ ურთიერთობებს ვცემ პატივს. საზოგადოების აზრი ნაკლებად მაღელვებს.
კახა _ კი, მაგრამ ჩვენ- ყველა ხომ საზოგადოების პროდუქტი ვართ, გვინდა თუ არა ეს. საერთო აზრით კი- ტრადიციულად ოჯახი ითვლება ამ ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებად.
სალიტა _ ახალ ტრადიციებსაც ხომ უნდა დაუდოს ვინმემ სათავე!
კახა _ (ირონიულად) თუ სწორად გავიგე შენ იდე თავს ამ პრობლემის, ასე ვთქვათ, მოგვარება.
სალიტა _ დაახლოებით.
ტასი _ არ გეთანხმები, სალი, მე პირადად ოჯახის ჩარჩოებში მირჩევნია პრობლემების მოგვარება.
კახა _ ჩვენი ისტორიული გამოცდილება და ტრადიციული მენტალობა ამას ადასტურებს. ამიტომაც ვამბობდი, მასონების სამიზნეა ყველაფერი ტრადიციული და ეროვნული.
სალიტა _ მე პატივს ვცემ თქვენს ჰარმონიულ-კოლექტიურ აზრს, მაგრამ არ ვიზიარებ. ეს გემოვნების საკითხია, ჩემო კარგებო! მოდი გემოვნებაზე ნუ ვიდავებთ!
სალიტა სამზარეულოში გადის. იქიდან მისი ღიღინის ხმა ისმის.
ტასი _რა გიჟურად დაიწყო ეს დღე.
კახა _ როგორც იტყვიან, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.
ტასი _ დამთავრდა კი?
კახა _ დაიხსომე, ყოველთვის პოზიტივზე უნდა იფიქრო, უარყოფით შემთხვევაში თავად იქმნი უარყოფით გარემოს.
ტასი _ გეთანხმები, გარემო თვითონ უნდა შევიქმნათ. მამა ზოსიმეც ამას ამბობს ქადაგებაში, სიყვარულის აურა უნდა შევიქმნათო.
კახა _ სულ ვოცნებობდი წმინდა ქართული ოჯახის შექმნაზე. ერთგულ ცოლზე, ისეთზე, ქართველი ქალები რომ იყვნენ ძველად.
ტასი _ მთლად ეგრეც არ იყო საქმე. ვახუშტი არ წერს: ნათესავი ქართველთა ორგულ არს, რა განძღეს... კარგად აღარ მახსოვს!

კახა _ `რამეთუ რაჟამს განძღეს და განსუქდეს, იწყოს ზრახვად ბოროტისა~- ეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებია და დიდებულებს გულისხმობს. ჩვენს წინაპრებს ოჯახი რომ მტკიცე არ ჰქონოდათ, აქამდე ხომ ვერ მოვაღწევდით. არ მეთანხმები?
ტასი _ ჰა, როგორ?!
კახა _ არ მისმენ? სულ მგონია, რომ დაძაბული ხარ. რა გჭირს?
ტასი _ არაფერი, უბრალოდ ასეთ დროს ყველა ღელავს, მე მგონი.
კახა _ ხოდა, იმას ვამბობდი, ჩვენ რომ არ შევხვედროდით ერთმანეთს, ვინ იცის, რა ბედს ვეწეოდი.
კახა ხელს ხვევს. ტასი მიეყრდნობა. მოულოდნელად შემოიხედავს სალიტა.
სალიტა _ მოსაწევი გამთავებია. სიგარეტი ხომ არ გექნებათ?
ტასი _ (გაოცებული მხრებს იჩეჩს) მეე?!
კახა _ არა, არ ვეწევი.
სალიტა _ ბოდიში, ბოდიში! (გადის).
ტასი _ რა სისულელეა საზოგადოების იგნორირება.
კახა _ ქალის ძირითადი ძალისხმევა ოჯახისკენ უნდა იყოს მიმართული და არა საზოგადოებრივ ასპარეზზე.
ტასი _ და კაცის არა?
კახა _ კაცისაც, მაგრამ ოჯახში მაინც ქალია დომინანტი. რამეთუ ტრადიციულად ყოველთვის ქალი წარმართავდა ამ პროცესებს საქართველოში.
ტასი _ მე კი მირჩევნია, ერთად გადავწყვიტოთ ყველაფერი.
კახა _ ასე მგონია, ცხოვრება თავად გვთავაზობს ბედნიერებას ლანგრით.
კახა თმაზე ეფერება ტასის. მოულოდნელად სალიტა შემოიხედავს.
სალიტა _ ვერცხლისფერი ლანგარი სადაა, ვერ ვიპოვე!
ტასი _ (უკმაყოფილოდ) განჯინაში იქნება, კარგად ნახე!
სალიტა _ ბოდიში, ბოდიში! (გადის)
ტასი _ მე მომწონს ძლიერი მამაკაცი ოჯახში, რომლის ფრთებქვეშაც შეგიძლია შეეფარო.
კახა _ ჩემი უმწეო ბარტყი! მეც ისეთი განცდა მაქვს, მწყურვალს რომ ეუფლება წყაროსთან.
კახა მის ხელს იღებს. შემოდის სალიტა შეშფოთებული სახით.
სალიტა _ რა უბედურებაა- მაინცდამაინც ახლა შეწყდა წყალი. სააბაზანოში მინდოდა შესვლა, წყლის სარეზერვო ბაკი იქ არა გაქვს. და კარი ვერ გავაღე. შენ ხომ არ ჩაგიკეტავს, ტასი?
ტასი _ (გულმოსული) არა, რა სისულელეა! მე რატომ უნდა ჩამეკეტა?
სალიტა _ აბა გამოდის, რომ შიგნიდანაა ჩაკეტილი.
ტასი _ შიგნიდან? არ არსებობს! დღეს რაღაც ჩემ კარებებს ჯადო აქვთ გაკეთებული.
სალიტა _ ღმერთო, ეს რა ჩაკეტილობა გვჭირს!
კახა წამოდგება და სააბაზანოს კარისკენ გაემართება. ტასი წინ გადაუდგება.
ტასი _ არა კახა, მართლა რამე ჯადო არ იყოს!

კახა _ შენ რა, ასე გჯერა ცრურწმენების? წარმართობის დროინდელი გადმონაშთია ყოველივე.
ტასი _ სხვათა შორის, მეც არ მჯეროდა. მაგრამ ჩემი დაქალი რომაა ნუკი, იმას ისტორია გადახდა, გაგიჟდები. საკუთარ ბალიშში იპოვა ჯადო. არადა, წინა კვირას გაერეცხა დედამთილს. წარმოგიდგენია? სალი, შენ ხომ იცნობ მაგას!
სალიტა _ ვის, დედამთილს? არა.
ტასი _ დედამთილზე არ გეუბნები, ნუკის.
სალიტა _ როგორ არა. ბალიშის რა გითხრა და მაგას ჯადო იმაში აქვს, ბალიშზე რომ უდევს.
კახა _ ჩემი აზრით, ჯადო აქ არაფერშუაშია, უბრალოდ შიგნიდანაა ჩაკეტილი.
კახა კარს აწვება, მერე აბრახუნებს, ბოლოს წიხლს არტყამს.
ტასი _ ნუთუ ვინმე შეიპარებოდა? ნამდვილად გავგიჟდები!
სალიტა _ ხელოსანს ველოდიო- ასე არ თქვი? ის ხომ არ იქნება!
კახა _ ხელოსანი რატომ ჩაიკეტებოდა? რაღაც სხვაგანაა ძაღლისთავი დამარხული.
სალიტა _ მაშინ, ერთადერთი ვარიანტი რჩება- ქურდია შეპარული და რომ შევამჩნიეთ, ჩაიკეტა. სასწრაფოდ პატრულს უნდა გამოვუძახოთ.
ტასი _ რას ამბობ, შანსი არ არის.
სალიტა _ აბა რა ვქნათ?!
კახა _ უნდა შევამტვრიოთ!
კალე _ (შიგნიდან) არ გინდათ, ხალხო! მაცადეთ, ეხლავე აგიხსნით ყველაფერს!
სააბაზანოს კარი იღება, გამოდის კალე.

სურათი მეოთხე

ტასი კახა, სალიტა და კალე.
კალე _ დამშვიდდით, ხალხო! შინაური კაცი ვარ, მეზობელი. 30 წელია ამ კორპუსში ვცხოვრობ, ყველა მიცნობს. ვინ თქვა ჩემი ქურდობა. სამეზობლოდ შემოვედი. საკეტის ნახვა მინდოდა. (ჯიბიდან სახრახნისს იღებს და უჩვენებს) აგერ, ბატონო, ნახეთ!
კახა _ ესე იგი, სახრახნისი თქვენ გიხმარიათ და არა ტასის.
კალე _ რაის ტასო. ეს რო არ მეხმარა, როგორ დავშლიდი.
კახა _ გამოდის, რომ ერთად იყავით ჩაკეტილები. გასაგებია! მაგრამ ის ვერ გავიგე, აქ როგორ აღმოჩნდით. აქ ხომ ჩვეულებრივი შპინგალეტი აყენია.
კალე _ შპინგალეტი რაში მაინტერესებდა, ბატონო, თურქულზე ვამბობ. გაივსო ბაზარი თურქული პროდუქტით, რა სჯობდა რუსულს. მოლასი არ იყოს...
კახა _არ მაინტერესებს თქვენი წარსულის ნოსტალგიები, აქ როგორ აღმოჩნდით- მეთქი!
კალე _ კარი რომ ჩაგვეკეტა, დავიბენით, ბატონო, შეგვეშინდა. უფრო სწორად, ტასოს შეეშინდა. ხომ იცი, ქალების ამბავი- ჭორები რაღაცა. თორემ მე რა შემაშინებდა- ცოლი არ მაწუხებს და შვილი. რა შემომათრევდა ამ ოხრობაში, ჩემს ტასოს რომ არ ეთქვა- ფეხი არ მოიცვალოო.

ტასი _ ვაიმე, რას ამბობს! (კალეს) ნეტა, აზრზე თუ ხარ, რას ბოდიალობ!
კალე _ იმას ვამბობ, ბავშვური სისულელე იყო სხვა არაფერი. მეც ავყევი ეს დროული კაცი. ამ ჯახირში რომ ვიყავით, მაშველები დაგვადგნენ თავზე.
სალიტა _ რა ჯახირში, რაებს ამბობს ეს კაცი!
კახა _ ყველაფერი გასაგებია.
ტასი _ ერთი წუთით, კახა, მე აგიხსნით ყველაფერს. ამ დილით შემოვიდა ჩემთან.ვსაუბრობდით. ჩემი მშობლები გავიხსენეთ.
კალე _ ა, ბატონო! აბა რას ვამბობდი. მაგისი დედა რომ...
ტასი _ დამაცადე! უცებ კარი ჩაგვეკეტა. ვერაფერი გავაწყეთ. მერე ხელის გადასაბანად ვანაში შევიდა...
კახა _ კი მარა, ამისთვის არ იყო ონკანი გაფუჭებული? ამაზე უსუსურ თავისმართლებას ვერც მოიფიქრებდა კაცი. აი, თურმე რატომ არ მიშვებდი სააბაზანოში. ყველაფერი დღესავით ნათელია!
სალიტა _ ეხლა ამის გარჩევის დრო არ არის, ხალხს ველოდებით. ვიდეო გვაქვს გადასაღები. ათასი საქმეა. გავუფრთხილდეთ ურთიერთ ნდობას. ჩავატაროთ ყველაფერი, როგორც წესი და რიგია და ხვალ, მშვიდ გონებაზე გავარკვიოთ.
კალე _ ასე არ ჯობია. ახალგაზრდები ხართ, გაუგებთ ერთმანეთს. მადლობა ღმერთს, როგორც ეფროსინე ბებია იტყოდა- ყველაფერი კეთილად დამთავრდა.
კახა _ გააჩნია ვისთვის.
ტასი _ (ტირილით) გეფიცები კახა!, ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ. შენ ხომ კარგად მიცნობ. როგორ წარმოიდგინე ეს ჩემზე? რა მოგდის?! ნუთუ ამაზე მეტად არ მენდობი?
კახა _ დამსხვრეულ ნდობას ცრემლით ვერ შეაკოწიწებ. თურმე ერთი წელი საკმარისი არ ყოფილა ადამიანის გასაცნობად. წმინდა მარგალიტი ნიჟარაში რომ მეგულებოდა, ლაფში აღმოჩნდა. როგორ ველოდი ამ დღეს და რა მივიღე- უნიჭოდ შეფუთული თურქული სერიალის სიუჟეტი. `ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!...~
ტასი _ როგორ არა გცხვენია, კახა, ამას რომ ფიქრობ ჩემზე.
კახა _ კიდევ მე უნდა მრცხვენოდეს თურმე!
სალიტა _ მოიცათ ხალხო, დამშვიდდით და ისე ჩამოვყალიბდეთ!
კახა _ უჩემოდ ჩამოყალიბდით. მე ამ სცენარიდან გავდივარ!
კახა კარისკენ მიემართება.
ტასი _ კახა, მოიცა.გეფიცები, მე მართალი ვარ შენთან! (ხმა უწყდება).
კახა გადის.
კალე _ ეს ვინ ყოფილა!

სურათი მეხუთე

ტასი, სალიტა და კალე.
ტასი _ (მოსთქვამს) მორჩა, ყველაფერი დასრულდა! ამდენი ხნის ნალოლიავები გრძნობა ერთი ხელის მოსმით სანაგვეზე გადაისროლა. არც კი მომისმინა. მთელი

ქვეყნის სალაპარაკო გამხადა. არაფერს გაუწია ანგარიში! (ყვავილებს დაავლებს ხელს და გადაყრას უპირებს.
სალიტა _ (ხელში წვდება) ე-ე, მაგას რას ერჩი, გაგიჟდი! ვინ იცის, ისევ გამოგვადგეს. არ გავარტყი ეგეთ გოიმ კაცს. კიდევ კარგი, დროზე გამოამჟღავნა თავისი ხუშტურები. ეგეთ სირისტიანზე გული არც უნდა დაგწყდეს.
ტასი _ როგორ არ გესმის, ერთი წელი და ერთი თვე დავდიოდით, მთელმა ქვეყანამ იცოდა ჩვენი ამბავი. ეხლა როგორ უნდა ავუხსნა ხალხს? როგორია მიტოვებული ქალის იმიჯი. ვინ დაიჯერებს, რომ ხელდაუკარებელი ვარ?!
სალიტა _ ამ გოიმურ აზრებს ხომ ვერა და ვერ შეეშვი. დაიკიდე, რა! ისე, მეც როგორ დებილივით წამოვაყრანტალე! გოგო, თუ კაცი გყავდა დამალული, ვერ გამაფრთხილე! შენც კაი ბოთე ხარ!
ტასი _ ჯერ ერთი- როდის უნდა მეთქვა, ძალიან მაინტერესებს. მეორეც- საქმე სულ სხვანაირად იყო.
სალიტა _ კაი, რა. მე რას მაბოლებ, ჩაკეტვამდე რა ხდებოდა, იმაზე რატომ არაფერს ამბობ? ფისოსავით რომ იყავი გასუსული.
ტასი _ ხმის ამოღების თავი მქონდა?
სალიტა _ ვიცი, რომ არ გექნებოდა. ჩაკეტილში ქალი და კაცი რას უნდა შვრებოდნენ, ეგ მე მკითხეთ.
ტასი _ კარგი რა, შენ მაინც ნუ მიშლი ნერვებს! ჩემს საკეტს აწვალებდა და გაუფუჭდა, რა არის ამაში დაუჯერებელი?
კალე _ არ მიწვალებია, ბატონო, ფრთხილად ვეჩალიჩებოდი.
სალიტა _ უი, ტასიზე იძახი?
კალე _ ტასი რა შუაშია,, საკეტზე ვამბობ.
სალიტა _ ნამდვილად გადამრევთ მე თქვენ!
კალე _ ნუ აჩქარდებით, იქნებ მოვიფიქროთ რამე!
ტასი _ (გამოაჯავრებს) `იქნებ მოვიფიქროთ რამე~. დიდი მადლობა! ერთხელ ხომ უკვე მშვენივრად მოიფიქრე, საკმარისია. ეს რა უბედური დღე გათენდა. მაინც რა ფეხზე შემოხვედი!
კალე _ მე რა შუაში ვარ! ჩემზე მეტად ვის გაუხარდებოდა შენი გაბედნიერება! დრო გავა, გადაუვლის. მე თვითონ დაველაპარაკები. კაცურად ავუხსნი ყველაფერს.
სალიტა _ უი, ოღონდ თქვენ არა! ტასი_ ვიცოდი, ასე რომ დამთავრდებოდა, ისე კარგად დაიწყო ყველაფერი. ექვსზე გოგოები უნდა მოვიდნენ. რა გავაკეთო? ღმერთო, ეს რა ბედი მაქვს. ყველას მდინარეს რომ ქვიშა ჩამოჰქონდეს, ჩემი- დამხჩვალ კატას ჩამოატარებს!
რეკავს ტასის მობილური. ტასი დახედავს და გათიშავს.
ტასი _ ხათუნა იყო. ალბათ გულმა უგრძნო. ეგ ისეთი კუდიანია...
სალიტა _ მოიცა, გოგოები კახას თუ იცნობენ სახეზე?
ტასი _ არა, მერე რა არის?
სალიტა _ რა ვიცი, იქნებ სხვა დაგვეხვედრებინა ვინმე.
ტასი _ შენ ჭკუაზე ხარ?

სალიტა _ დროებით ვამბობ, სანამ გაიასნდება რამე. გოგასთან რომ დაგერეკა? იქნებ აღგედგინათ ძველი ურთიერთობა. მაინც რას ერჩოდი, დღესაც არ ვიცი. ამბობენ, საკრებულოში გაჩითულა თურმე.
ტასი _ გაგიჟდი, იფიქრებს, თანამდებობას გამოეკიდაო.
სალიტა _ ის რო იყო, სათვალეებიანი მასტი- დიპლომატი, სონეტებს რომ გიკითხავდა?
ტასი _ ეგ ხომ საზღვარგარეთაა რახანია.
სალიტა _ და საგადასახადოს ინსპექტორი, ღიპიანი?
ტასი _ იმას ერთი ფაეტონი შვილები ჰყავს უკვე.
სალიტა _ აბა არ ყოფილა საშველი და ეგ არის, გავკარი მაგათ! როცა არ გინდა, ტვინს შეგიჭამენ, თუ დაგჭირდება, მაშინ გაწყდებიან მაინცდამაინც.
კალე _ ნუ ნერვიულობთ, გამოსავალი მოიძებნება რამე, გული მიგრძნობს. მოლასი არ იყოს.
ტასი _ (უყვირის) შენც კიდე, მოეშვი რა მაგ მოლას! არ წაიღო ტვინი!
კალე _ (ნაწყენი) თუ მე გიშლი ნერვებს, წავალ. რა პრობლემაა!
ტასი _ (სინანულით) მაპატიე, კალე, შენ რა შუაში ხარ, მე რომ ბედი მქონდეს დათარსული.
სალიტა _ ამ კაცზე უფრო გულშემატკივარი ვინა გყავს, მითხარი!
ტასი _ გასაგებია,მაგრამ თქვენც ხომ უნდა გამიგოთ. მარტო მამიდას რა პასუხი გავცე, როგორ დაიხარჯა. ჯერ კაბის შეკვეთა რა დაჯდა, მერე ის კოსტუმი. გაგიჟდება ქალი.
სალიტა _ მოიცა, კახასთვის რომ შეაკერინე, იმ კოსტუმზე ამბობ? ხომ არ მიგიცია?
ტასი _ არა, სწორედ დღეს ვაპირებდი გადაცემას, მაგრამ დამცალდა?! (იცრემლება).
სალიტა _ ხოდა, ძალიანაც კარგი! სადა გაქვს შენახული?
ტასი _ სად იქნება, გარდერობშია, რად გინდა?
სალიტა _ გამოიტანე ერთი, გამოიტანე!
ტასი _ დამანებე თავი, მაგისი არაფერი დამანახო!
სალიტა გარდერობთან მიდის, პიჯაკი გამოაქვს, ათვალიერებს მერე კალეს მხრებზე წამოასხამს, პერანგის საყელოს უსწორებს, ღილებს უკრავს. კალე გაოცებული მისჩერებია.
სალიტა _ ა, კაცი. ნახე, მგონი, სულაც ამის ტანზეა შეკერილი. ცოტა ულვაშების შელევა მოუწევს, ასაკიანს აჩენს.
კალე _ ულვაში რა პრობლემაა! თუ საქმეს წაადგება...
სალიტა _ ღმერთმა ხსნად ეს კაცი გამოგიგზავნა და ვერ მიმხვდარხარ. (იცინის, მერე გადაყრილ ყვავილებს კრეფს და ისევ ვაზაში აწყობს).
სალიტა _ აჰა, არა ვთქვი- გამოგვადგება-თქო. მეჯვარეც არ გეყოლებათ მოსაძებნი, მიმსახურეთ, ბატონო!
ტასი _ კარგი რა, შენ ღადაობ და ერთი მეც მკითხე! სხვას რომ დავანებოთ თავი, მამა ზოსიმემ უკვე დამლოცა.
სალიტა _ შენ კიდე, ჭედავ რა შენი კარივით. დაივიწყე ეს გოიმური აზრები. სიყვარული, ოჯახი, ერთგულება- ეგ ყველაფერი კაცებმა მოგვახვიეს თავს, უკეთ რომ დაგვიმორჩილონ, თვითონ კი არაფერზე ამბობენ უარს. კაცი ყველა ერთია, მინდა

გითხრა, მარტო სახელები აქვთ სხვადასხვა. შვილის გასაჩენად ეგენიც რომ არ იყვნენ აუცილებელი, ვის დასჭირდებოდა ნეტავი. მაგრამ ისე მიდის საქმე, სინჯარებით ჩანაცვლდებიან მალე.
კალე _ (მორცხვად) არც მთლად მასეა საქმე, ჩემო სალუტა!
სალიტა _ აჰა, ჩემი სახელის ასეთი საინტერესო ინტერპრეტაცია ჯერ არავის შემოუთავაზებია. სალუტ, სალიტა! კალე-ბატონო, როგორც გაუფუჭე საქმე, ისე უნდა გამოუსწორო. გვითხარი, რამეს ხომ არ უწუნებ ჩვენს საპატარძლოს? არ დაგვიმალო! ხომ არის მარწყვივით?
კალე _ შენ ხუმრობ, მარა ამისი დედა რომ ჩამოივლიდა გურგენას მაღაზიის წინ, მაშინ ჯერ უწვერული ყმაწვილი ვიყავი, მარა, მაძაგძაგებდა ტანში.
სალიტა _ კაცოოო, მე ტასიზე გეკითხები!
კალე _ ხოდა, იმას ვამბობდი- ესეც სულ იმისი ალი-კვალია.
სალიტა _ აჰა, ხომ ვიძახდი. (იცინის) რიკოშეტით ტრფიალს ჰქონია ადგილი. ჯერ სადა ხართ!
კალე _ (ტასის) შენ გგონია, მართლა არ მახსოვდა ის ამბავი შენს ვარცხნილობაზე?! ისეთი წყლიანი თვალებით ამოდიოდი კიბეზე გული მომეწურა.
ტასი _ მე რა მახსოვს, იცი? ერთხელ, მეშვიდე კლასში ვიქნებოდი. დედამ გამომაგზავნა შენთან. აღარ მახსოვს, მგონი, დენი გვქონდა გათიშული. კარი გამიღე თუ არა, მაშინვე სამზარეულოში გაიქეცი. გამიკვირდა, მეც გამოგყევი. რაღაც კერძი გედგა გაზზე და ეტყობა გადმოდიოდა. მაშინ პირველად ვნახე მამაკაცი, საჭმელს რომ ამზადებდა. შევწუხდი, მოხმარება მინდოდა, მაგრამ შემრცხვა.
სალიტა _ აჰა, პირველი მამაკაციც ეს ყოფილა.
ტასი _ (მორცხვად) ვაიმე, რა დებილი ხარ!
სალიტა _ რას მერჩი, მაშინ პირველად ვნახე მამაკაციო- ასე არ თქვი? (გადაიკისკისებს) აქ საქმეები იჩითება, დედა შვილს არ აიყვანს.
ტასი _ კაი რა! ნუ გადარიე ეს კაცი. გეყოფა ეხლა! (ეღიმება).
სალიტა _ რა მაინტერესებს, იცი, გოგოებმა თუ იციან კახას სახელი?
ტასი _ ეცოდინებათ, აბა რა, ვინ იცის, რამდენჯერ მიხსენებია.
სალიტა _ (კალეს) ხოდა, დღეს შენ გერქმევა კახა, გაიგე?
კალე _ მე მშვენიერი ნათლობის სახელი მაქვს. ახლა საფლავში ნუ გადამიტრიალებთ ერასტი ნათლიას.
სალიტა _ ნახეთ, ნახეთ! არაფერი ეშლება- ულვაშს შეელევა, სახელს- არა. მე თუ მკითხავ, სოლიდური ასაკის კაცი საქმროდ ბევრად უკეთესია ახალგაზრდაზე: შემთხვევით გაცნობილ ქალს ეს არ გადაეკიდება და არც ქეიფს გადაყოლილ ძმაკაცებს გადაყვება, სიჭაბუკის ცდუნებებიც მოხდილი აქვს- კაზინოში ეს არ შევა და ანაშას არ გასინჯავს. რაც მთავარია, იმედგაცრუება არ გელოდება. შენს ხელში არ დაეწყება არც თმის სიმეჩხრე და არც ღიპის წამოზრდა. უკვე მოთავებულია ეს ყველაფერი. აბა, ისაა კარგი, გრუზათმიანს რომ გაჰყვები და ორიოდ წელში ქაჩალი შეგრჩება ხელში?! გოგო, თურმე ბედი კარზე გქონია მომდგარი და შენ სად ჯანდაბაში ეძებდი!
ტასი _ ოხ, სალი, რა საზიზღარი ხარ! (უფრო შემწყნარებლურად) ეგ ენა რომ არ გქონდეს, ქარი წაგიღებდა ბაბუაწვერასავით!

სალიტა _ ამ წუთში გამოსავალი ესაა დროებით და ხვალ თავად დრო გვიჩვენებს.
კალე _ (გაუბედავად) ვითომ, რატომ დროებით?
სალიტა _ ტიტუუ, მიშველეთ ვინცხამ, დავეცი! (სიცილით კვდება).
რეკავს ტასის მობილური. ტასი დახედავს და ანერვიულდება, არ იღებს.
სალიტა _ ისევ ხათუნაა?
ტასი _ არა ნუნუკა.
სალიტა _ რატომ არ პასუხობ?
ტასი _ რა ვუთხრა მერე?!
სალიტა _ უპასუხე, გული გინდა გაუხეთქო ქალს?
ტასი _ (ტელეფონს რთავს, ინტონაციას იცვლის) ხო მამიდა, კარგად, შენ როგორ ხარ? გული გაწუხებს?.. აუცილებლად მიაკითხე, აუცილებლად. მეც არა მიშავს, ცოტა პრობლემები გაგვიჩნდა... არა, ისეთი არაფერი. უბრალოდ კახა ის არ... რა დაგემართა?! არ ინერვიულო. ყველაფერი გადასარევად იქნება. სუფრა უკვე გავამზადეთ... ექვსზე ველოდები გოგოებს... ისეთი არაფერი-თქო ხომ გითხარი. რა უნდა დაგიმალო. ამინდები როგორია მანდ? აბა რა, გადავიღებ, საუკეთესო ოპერატორი მყავს დაბარებული... კი, კაბა ყველას მოეწონა. რა თქვი? რა თქმა უნდა, კალეც აქ არის. მოკითხვა შემოგითვალა. ბატონო? კახა პასპორტით ჰქვია, ჩვენ-შინაურები მოფერებით კალეს ვეძახით... აბა, ბედნიერად, დიდი მადლობა! ექიმს აუცილებლად მიაკითხე, გესმის, ჩემს თავს გაფიცებ! (ტელეფონს მიაგდებს) სალი, ხათუნას დაურეკე, კამერის წამოღება არ დაავიწყდეს!

დასასრული

2015, XI